საბჭოთა ნაციონალური პოლიტიკის იდეოლოგიური ფესვები: ნაციონალიზმის ხედვა მარქსიზმ-ლენინიზმის კონტექსტში“

DOI: https://doi.org/10.52340/splogos.2025.02.16

ნათია ლაცაბიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

ასოცირებული პროფესორი

Latsabidzenatia07@gtu.ge

ORCID iD: https://orcid.org/ 0009-0009-8305-0452

აბსტრაქტი

საბჭოთა კავშირი, როგორც ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური მრავალეთნიკური იმპერია კაცობრიობის ისტორიაში, თავისი არსებობის განმავლობაში სისტემურად შეეჯახა ნაციონალიზმის მიერ წარმოქმნილ სტრუქტურულ საფრთხეებს. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა მმართველობამ გადალახა მრავალი კრიზისი - მათ შორის, ეკონომიკური სირთულეები, ფართომასშტაბიანი ომების შედეგად მიყენებული განადგურებები და შიდა პოლიტიკური რეპრესიები - სახელმწიფოს მდგრადობასა და ერთიანობას საბოლოოდ ძირითადი გამოწვევა ეთნონაციონალური იდენტობების გაძლიერებამ და ეროვნული თვითგამორკვევისკენ მიმართულმა მზარდმა ტენდენციებმა შეუქმნა. საბჭოთა ნაციონალური პოლიტიკა ეფუძნებოდა იდეოლოგიურ დოქტრინას, რომელიც ასახავდა მცდელობას ეროვნულ მრავალფეროვნებასა და ცენტრალიზებულ სოციალისტურ მმართველობას შორის კომპრომისის პოვნისა. მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუციური დონით უზრუნველყოფილი იყო რესპუბლიკების ფორმალური სუვერენიტეტი და კულტურული ავტონომია, პრაქტიკაში ნაციონალური იდენტობები დაქვემდებარებული იყო ცენტრალურ ხელისუფლებასთან ტრანზაქციულ ურთიერთობებზე. აღნიშნული მოდელი ვერ უზრუნველყოფდა ეთნიკურ ჯგუფებთან გრძელვადიანი ლეგიტიმური კონტრაქტის დამყარებას და ხშირად ემყარებოდა პოლიტიკური ლოიალობისთვის გაცემულ ეკონომიკურ პრივილეგიებს. აღნიშნულ ვითარებაში, ნაციონალიზმი საბჭოთა სივრცეში, გადაიქცა არა მხოლოდ ეთნიკური თვითგამოხატვის მექანიზმად, არამედ ძალადობრივად შეკავებული იდენტობების დესტრუქციულ ძალად, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საბჭოთა კავშირის დაშლის პროცესში.

საკვანძო სიტყვები: საბჭოთა კავშირი, ნაციონალიზმი, ეთნიკური კონფლიქტი, მრავალეთნიკური სახელმწიფო, ფედერალიზმი.

"The Ideological Foundations of Soviet Nationality Policy: Conceptualizing Nationalism within the Framework of Marxism-Leninism"

Natia Latsabidze

Associate Professor

Georgian Technical University

Latsabidzenatia07@gtu.ge

ORCID ID: https://orcid.org/ 0009-0009-8305-0452

Absrtact

Despite enduring economic crises, wartime devastation, and political terror, the Soviet Union managed to survive tremendous challenges. Yet, the fundamental threat to Soviet stability throughout its seventy-year history, preceded by centuries of Tsarist rule, was the persistent rise of nationalism. The demands for autonomy, sovereignty, and eventual independence emerged with increasing intensity, ultimately leading to the collapse of the Soviet state. This development, though surprising to both Soviet citizens and Western analysts, exposed the limitations of the USSR's multinational structure.

The Soviet Union comprised over 100 ethnic groups, the majority of which regarded Soviet territory as their homeland. Although ethnic federalism formally provided autonomy and cultural rights, political and economic power remained centralized. The USSR promoted a policy of "affirmative action" for nationalities, offering education, employment, and symbolic representation, yet expected gradual assimilation under a dominant Soviet (often Russified) identity.

Soviet leaders, particularly Lenin, sought to balance regional autonomy with centralized control. This paradox manifested in the principle of a "socialist in content, nationalist in form" state. National republics were granted the theoretical right to secede, but in practice, this was never intended to be exercised. Instead, loyalty was secured through elite co-optation and redistribution of economic resources.

While Marxist ideology downplayed nationalism as a bourgeois distraction, national identity proved to be a potent force, especially in the context of imperial legacies and uneven development. The post-Soviet transitions confirmed the enduring strength of nationalist sentiments. Although newly independent states embraced multiethnic constitutions, most were effectively nation-states in form and function.

Ultimately, the Soviet nationalities policy failed to reconcile the tensions between ideological internationalism and practical nationalism. Its collapse underscores the difficulty of managing ethnic diversity in a centralized authoritarian framework and highlights the enduring political power of national identity in the modern era.

Keywords: Soviet Union, nationalism, ethnic conflict, multiethnic state, federalism.

მიუხედავად ეკონომიკური კრიზისებისა, ომით გამოწვეული მასშტაბური ნგრევისა და შიდა რეპრესიების მძიმე შედეგებისა, საბჭოთა კავშირმა შეძლო მრავალი კრიზისის გადალახვა. თუმცა, სახელმწიფოს ერთიანობისათვის ფუნდამენტურ საფრთხედ საბოლოოდ ნაციონალიზმი იქცა. მრავალეთნიკური იმპერია, რომელიც ასზე მეტ ეთნიკურ ჯგუფს აერთიანებდა, ვერ შეეგუა ეთნიკურ იდენტობებსა და სუვერენულობაზე მზარდ მოთხოვნებს. საბჭოთა მმართველობის დაახლოებით სამოცდაათწლიან პერიოდს, რომელსაც წინ უძღოდა ცარისტული რუსეთის მრავალსაუკუნოვანი დომინაცია, ყველაზე მეტად სწორედ ეთნიკური დაპირისპირებები და ნაციონალური კონფლიქტები ემუქრებოდა. სუვერენიტეტის, ნაციონალური ავტონომიისა და საბოლოოდ დამოუკიდებლობის მოთხოვნებმა, რომლებიც ხშირად შურისძიების ძალადობრივი ფორმით ვლინდებოდა, გამოუსწორებელი დარტყმა მიაყენა საბჭოთა სახელმწიფოებრივ სისტემას და საფუძველი ჩაუყარა მის დაშლას. საბჭოთა კავშირის დეზინტეგრაცია ერთდროულად აღმოჩნდა მოულოდნელი როგორც იმპერიის რიგით მოქალაქეებისთვის, ისე დასავლელი კრემლინოლოგებისათვის.

ნაციონალიზმის ბუმი საბჭოთა სისტემის ერთ-ერთ გამანადგურებელ იარაღად იქცა. საბჭოთა კავშირი ისტორიაში, ალბათ, ყველაზე ფართოდ გავრცელებული და უნიკალური მაგალითია იმისა, თუ როგორ თანაცხოვრობდნენ სხვადასხვა ეროვნული ჯგუფები ერთმანეთთან, კონფლიქტების მიუხედავად. მიუხედავად ზუსტი მონაცემების არარსებულობისა, ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირში ასზე მეტი განსხვავებული ეროვნების ჯგუფი შედიოდა, რომელთა უმრავლესობამ დაისაკუთრა

საბჭოთა ტერიტორია, როგორც საკუთარი სამშობლო.[221] ყველა ამ ეროვნების წარმომადგენელი, სხვადასხვა ხარისხის ვოლუნტარიზმით, წარმოადგენდა ერთი სახელმწიფოს მულტინაციონალური სტრუქტურის ნაწილს. ყოფილი საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ-დემოგრაფიული მდგომარეობა განსაკუთრებით ართულებს ნაციონალიზმის მნიშვნელობის სრულად შეფასებას. როგორც წესი, ეროვნული ჯგუფები ერთად ცხოვრობდნენ ეთნიკურად ჰომოგენურ ტერიტორიებზე. აღსანიშნავია, რომ საბჭოთა კავშირში ადმინისტრაციული და ეთნიკური დანაყოფები დიდწილად იმეორებდა ეთნიკური ჯგუფების საცხოვრებელი ტერიტორიის საზღვრებს. სწორედ ამ მიზეზით, საბჭოთა კავშირში წარმოშობილი რეგიონული მოძრაობები, თავისი ფორმით, ნაციონალური იყო, მიუხედავად მათი შემადგენლობისა.

პოსტ-საბჭოთა მდგომარეობამ სხვა დამატებითი პრობლემები წარმოშვა. მოსკოვის მმართველობისგან, სხვადასხვა დოზით თავისუფალი, თხუთმეტი საბჭოთა კავშირის შემადგენელი რესპუბლიკა, ეფექტურად გარდაიქმნა ეროვნებაზე დაფუძნებულ სახელმწიფოებად. მიუხედავად იმისა, რომ პოსტ-საბჭოთა სახელმწიფოები ჩართული იყვნენ ნაციონალიზაციის პროცესებში, ისინი არ გამხდარან სახელმწიფოები, რომლებიც წარმოადგენდნენ მხოლოდ მათ ტერიტორიაზე არსებულ სახელობით ეროვნულ ჯგუფებს.[222] თუნდაც ფორმალურად, ამ რესპუბლიკების კონსტიტუციების მიხედვით, მათი უმეტესობა ამტკიცებდა, რომ სახელმწიფო წარმოადგენდა მათ ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა ეროვნების ადამიანს და არა მხოლოდ იმ სახელობით ეთნიკურ ჯგუფს, რომელთა საფუძველზეც ეს სახელმწიფოები შეიქმნა. კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ ნაციონალიზმის გავლენის ხარისხი მკვეთრად განსხვავდებოდა თითოეულ შემთხვევაში.

ნაციონალიზმის ტრადიციული განმარტება სახელმწიფოს ანალიზით იწყება. ნაპოლეონის მმართველობის დროიდან მოყოლებული, ნაციონალიზმი წარმოადგენს მთავარ, განმეორებად, იდეოლოგიურ მოვლენას. ოტომანების, ჰაბსბურგების, ბრიტანელების, რუსებისა და სხვათა იმპერიების მთავარ პოლიტიკურ იმპერატივს სწორედ ნაციონალური მისწრაფებების ჩახშობა წარმოადგენდა, იქნებოდა ეს ძალისმიერი მეთოდით, ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფით თუ ადგილობრივ ელიტაში ინტრიგების ოსტატურად ჩახლართვით. საჭიროა აღნიშნოს, რომ ნაციონალიზმი ხშირად გამოიყენებოდა ინდივიდის უფლებებისა და ინიციატივების ჩასახშობად. ი.ლ.ტალმონი თავის კვლევაში ,,ეროვნების მითი და

[221] Bruk, S.I. “Ethnicheskie protsessy i voprosy optimizatsii natsional'no administrativnogo deleniia v SSSR.” In National'nye problemy v sovremennykh usloviakh, 128–143. Moscow: Institute of Marxism-Leninism, CPCC, 1988.
[222] Talmon, J.L. The Myth of the Nation and the Vision of Revolution. London: Secker and Warburg, 1981.

რევოლუციის ხედვა", გვიანი მეცხრამეტე საუკუნის ევროპაზე წერს: „არა ადამიანი, არამედ ერი იყო ყველაფრის საზომი, ხოლო ცოცხლების მიზანმიმართულ გადაწყვეტილებებთან შედარებით, გარდაცვლილთა ძალაუფლება წარმოჩენილი, როგორც უსასრულოდ ძლიერი."[223]

გარკვეულწილად, ნაციონალიზმის იდეოლოგია, კომუნიზმის იდეოლოგიას მოგვაგონებს. ნაციონალისტური ან კომუნისტური პრინციპებით მართულ ქვეყნებში, ინდივიდი მნიშვნელოვანია მხოლოდ მაშინ, როცა ის აერთიანებს კოლექტიურ სულიერ ღირებულებებს. ადამიანი კომუნიზმის საწყისი იმავე დოზითაა, რა დოზითაც ის არის ნაციონალიზმში. კიდევ ერთხელ მოვიხმოთ ტალმონი და დავფიქრდეთ სსრკ-ში ერისა და ინდივიდის შესაძლო განმარტებაზე. ტალმონმა პირველი მსოფლიო ომის პირას მყოფ ევროპაზე დაადგინა შემდეგი: ,,ყველა ერი წარმოადგენდა თავის დამოუკიდებელ სამყაროს, უნიკალურ ნაზავს, რადგან მან შექმნა უამრავი ადამიანი, განსაზღვრა მათი ბედისწერა და კეთილდღეობა, ერის ინტერესები, მისი კონკრეტული სიტუაციის ჯერარსობა, მისი გადარჩენისთვის ხელსაყრელი პირობები, ერთსულოვნება, ძალა და გავლენა მოიცავდა მის ჭეშმარიტებას, მორალსა და სამართლიანობას".[224]

თუმცა, მიუხედავად მათი, ერთი შეხედვით თვალშისაცემი მსგავსებებისა, პირველმა მსოფლიო ომმა გამოააშკარავა სოციალისტურ და ნაციონალისტურ იდეოლოგიებს შორის არსებული შეუსაბამობები. მეორე ინტერნაციონალის ლიდერებს სწამდათ, რომ წარმოუდგენელი იყო სხვადასხვა ქვეყნებში, პროლეტარიატებს შორის ომის გაჩაღება, რადგან კლასის მიმართ ერთგულება სჯობნიდა ეროვნულის მიმართ ერთგულებას. მათთვის სოციალიზმი იყო ,,ევროპელი ლიბერალებისა და დემოკრატების ქმედებების წმინდა პროდუქტი და ევროპული მემკვიდრეობის დაგვირგვინებული მიღწევა". შესაბამისად, უმეტესი სოციალისტური ლიდერისთვის, მწარე მოულოდნელობა გახდა რუსეთსა და გერმანიაში საომარი ვითარების სწრაფი მობილიზება.

ნაციონალიზმის საკითხთან მიმართებით, ყველაზე რეალისტური მარქსიზმის თანამედროვეებში იყვნენ 1920-იანი წლების ორი ავსტრიელი, სოციალისტი მოაზროვნე: კარლ რენერი და ოტო ბაუერი. ლუქსემბურგისა და ლენინისგან განსხვავებით, რომლებიც ზოგადად აღიარებდნენ ეროვნული ბრძოლის პროგრესულ ბუნებას, ავსტრიელი მარქსისტები დარწმუნებულები იყვნენ ,,ევოლუციური ნაციონალიზმის" ცნებაში, რომ სოციალისტური წყობის შექმნაში ერის ისტორია და

[223] Talmon, J.L. The Myth of the Nation and the Vision of Revolution, 545
[224] Amalrik, Andrei. Will the Soviet Survive Until 1984? New York: Harper and Row, 1970.

ტრადიციები უნდა იქნას გაერთიანებული. უფრო მეტიც, როგორც ტალმონმა დაასკვნა, ისინი ამ ყველაფერს შემდეგნაირად უყურებდნენ: ,,სოციალიზმის მიზანი და ბედისწერა იყო, ეროვნული ერთიანობიდან დიდი ხნის განმავლობაში გამოთიშული დაბალი წყობის წევრთა ნაციონალურ კულტურაში ჩართვა, მათთვის ეროვნული მემკვიდრეობის თანაშთამომავლად გახდომის საშუალების მინიჭება". როგორც ავსტრიელი მარქსისტები ამტკიცებდნენ, ,,სოციალიზმის სულისკვეთებას წარმოადგენდა ერის მეტად მაღალ სიმაღლეებამდე აღზრდა, რაც ძალიან შორს იყო ანტი-ნაციონალიზმისგან, ეროვნული ერთიანობის განადგურების მისწრაფებისგან და ერებს შორის განსხვავებების გაქრობის სურვილისგან". რენერმა და ბაუერმა სრულიად ვერ შეაფასეს ნაციონალიზმის ფეთქებადი ხასიათი, რომელსაც ძალიან სწრაფად შეეძლო სოციალისტური პროექტის რელსებიდან გადაგდება. როგორც ტალმონმა შენიშნა მათ ვერ შეძლეს ,,ნაციონალისტური ვნების დემონური და შემპყრობლური ბუნების გაცნობიერება. მათ გულწრფელად სწამდათ, რომ შესაძლებელი იყო ლეგიტიმური, კოლექტიური თვითგამოხატულების სურვილსა და დაწინაურების, ძალაუფლების, პრესტიჟის და დომინაციის მოპოვების სურვილს შორის ხაზის გავლება და მისი შენარჩუნება. თავისი არსით, სოციალისტური ერი ვერ უნდა გამხდარიყო იმპერიალისტური". საბჭოთა კავშირი ნამდვილად გახდა იმპერიალისტური ქვეყანა, რაც თვალნათლივ გამოჩნდა მის შემდგომ ქმედებებში: 1939 წლის აგვისტოში ხელმოწერილი მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტის საიდუმლო მუხლი; 1939-40 წლებში მომხდარი ზამთრის ომის დროს ფინეთის მიმართ აგრესია; 1944 წლის ოქტომბერში, მოსკოვში სტალინსა და ჩერჩილს შორის მიღწეული შეთანხმება ,,ევროპაში გავლენის სფეროების" შესახებ და ბოლოს, 1944 წლის იალტის შეთანხმება, რომლის თანახმად დასავლეთ ევროპაში განთავისუფლებული ტერიტორიები დარჩა გენერალსიმუსის, სტალინის მმართველობაში.

საბჭოთა კავშირის ფორმირებაში იყო რაღაც თავისებური, რაც სრულიად სცდებოდა მარქსიზმის ექსპერიმენტალურ საკითხებს. ერის ჩამოყალიბებისა და ინდუსტრიალიზაციას შორის კავშირს მკვლევარი ალექსანდერ გერშენკრონის კვალდაკვალ,[225] რომან შპორლუკმა ხაზი გაუსვა ფაქტს, რომ რუსული ინდუსტრიული რევოლუცია წინუსწრებდა თანამედროე ერის ჩამოყალიბების პროცესებს, შედეგად ,,ნაციონალიზმზე ადრე მარქსიზმმა ჩაიგდო ხელში სადავეები".[226] ქვეყნის ლიბერალ-ნაციონალისტები ბოლშევიზმმა გაანადგურა, მათ ვერ შეძლეს გავლენის მოპოვება, როგორც ელიტურ წრეებში, ისე მოსახლეობის სხვა ფენებში.

[225] Gershenkron, Alexander. Economic Backwardness in Historical Perspective. Cambridge, MA: Harvard University Press, 1979.
[226] Sporluk, Roman. Communism and Nationalism. New York: Oxford University Press, 1988.

გასაკვირი აღარაა, რომ ბევრმა მეორე თაობის მარქსისტმა ვერ შეძლო ნაციონალური რევოლუციების პრობლემის მოსაგვარებლად დოქტრინული სახელმძღვანელოს შეთავაზება. მარქსის მოდელში არაფერი იყო ნახსენები იმ სოციალური ფორმირების შესახებ, რომელიც მიუთითებდა ნაციონალიზმზე, როგორც ისტორიულ ძალაზე, რომელსაც შეეძლო განვითარების შემდეგი ეტაპების აჩქარება ან შენელება. შესაბამისად, ნაციონალიზმის პრობლემის მოგვარების ერთადერთ საშუალებად, ნაციონალური განსხვავებების განადგურება იყო.[227]

ბოლშევიკურ რევოლუციამდე ლენინმა ნაციონალიზმის მნიშვნელობა გააუფასურა და მხარი დაუჭირა რეგიონული ავტონომიურობის პოლიტიკას, რომელშიც პოლიტიკურ-ადმინისტრაციული დანაყოფები აღარ დგინდებოდა ეთნიკურობის საფუძველზე. რევოლუციის შემდეგ, ბევრი ერი, რომელთაც რუსული ცარზმისგან წარმატებით დაიხსნეს თავი, მაგალითად აზერბაიჯანის, სომხეთის, ბელორუსიისა და უკრაინის დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკები, კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდნენ იმპერიული ცენტრიდან მართვის დომინანტობას. შდეგად ლენინისთვის მკაფიოდ ნათელი გახდა, რომ სტაბილური გაერთიანების შექმნისთვის საჭირო იქნებოდა ნაციონალური უფლებების აღიარება.[228]

ლენინი ორ პოლუსს შორის მოექცა, ერთის მხრივ, სახელმწიფოს გადარჩენისთვის მას სჭირდებოდა ნაციონალური ასიმილაციის მცირე ხარისხის დაშვება, და მეორეს მხრივ, გაერთიანებაში დესტაბილიზაციის გამოწვევის შიშით, მას არ სურდა რაიმე ქმედებით გაემწვავებინა ნაციონალური კრიზისი. შედეგად, მიუხედავად იმისა, რომ ერთა ასიმილაცია წარმოადგენდა მთავარ მიზანს, ლენინმა აუცილებლობად ჩათვალა თანასწორუფლებიანობისა და სუვერენიტეტის ფასადის შექმნა. ის კომპრომისზე წავიდა და შექმნა ფედერალური საბჭოთა კავშირი, რომელიც ეფუძნებოდა დებულებას ,,ფორმით ნაციონალისტური, შემადგენლობით სოციალისტური".[229]

საბჭოთა კავშირის სტრუქტურა დაყოფილი იყო ოთხ რეგიონულ, ეთნიკურობაზე დაფუძნებულ ადმინისტრაციულ-პოლიტიკურ ერთეულად. ინსტიტუციები ყოველ საფეხურზე იდენტურად იყო მოწყობილი; ყველა საფეხურზე იყო არა მხოლოდ პარტიული და სახელმწიფო აპარატები, არამედ კულტურული, სამეცნიერო და საგანმანათლებლო დაწესებულებებიც. ეროვნებების მხარდამჭერი მთავარი

[227] Carrère d'Encausse, Hélène. Decline of an Empire: The Soviet Socialist Republics in Revolt. New York: Newsweek Books, 1979.
[228] Bennigsen, Alexander A., and S. Enders Wimbush. Muslim National Communism in the Soviet Union: A Revolutionary Strategy for the Colonial World. Chicago: University of Chicago Press, 1979.
[229] Connor, Walker. The National Question in Marxist-Leninist Theory and Strategy. Princeton, NJ: Princeton University Press, 1984.

პოლიტიკური სტრუქტურა ცნობილია ე.წ. ,,განფესვების" სახელით, რაც გულისხმობდა ნაციონალური ჯგუფების წახალისებას, მათთვის ისეთ სახელმწიფოდან მართულ ბენეფისებზე წვდომის დაშვებით, როგორიცაა განათლება, საცხოვრებლის მინიჭება და დასაქმება. ნაციონალური ეკონომიკური პოლიტიკა ამყარებდა საბჭოთა მხარდაჭერას, რომლის საფუძველიც იყო: გაეცი რამდენიც საჭიროა და გამოართვი იმდენი, რამდენის მოცემაც შეუძლია. შესაბამისად, ეკონომიკური გათანაბრება მანდატირებული იყო, რედისტრიბუციის პოლიტიკის ფარგლებში ხელისუფლების სუბსიდიებით. ლენინის ნაციონალიზაციის პროგრამა ტრანზაქციული იყო, რადგან მიუხედავად ფაქტისა, რომ ბევრი ეროვნების ადამიანს საშუალება ჰქონდა შეენარჩუნებინა თავისი განმასხვავებელი ნიშნები, საბოლოო ჯამში, მათგან მაინც იყო მოლოდინი, რომ ისინი თანდათან ასიმილირდებოდნენ.

საბჭოთა ძალაუფლებას არასდროს მიუნიჭებია ლეგიტიმაცია ნაციონალური სწრაფვების მქონე ადამიანებისთვის, რომელიც მისი დაქვემდებარების ქვეშ იყვნენ. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა ლიდერებს არასდროს უცდიათ ოქტომბრის რევოლუციის მერე სხვადასხვა ეროვნებების ძალისმიერი რუსიფიკაცია, ,,შინაარსით სოციალისტი" ნიშნავდა, რომ ბუნდოვანი საბჭოთა კულტურა იგულისხმებოდა როგორც ყველა სხვა კულტურებთან მიმართებაში დომინანტი; გამონაკლისი იყო რუსული კულტურა.

საბჭოთა კავშირის შეზღუდული პარამეტრების პირობებშიც კი, ყველა ეროვნება თანაბრად არ იმართებოდა. ასზე მეტი საბჭოთა ეროვნული ჯგუფიდან მხოლოდ ორმოცდაცამეტი დადგინდა კონკრეტული ტერიტორიის მკვიდრად და მიენიჭათ ე.წ. ,,ტიტულარული" ეროვნების - ნაციონალური სტატუსი. საბჭოთა კავშირში არსებული ნაციონალური ჯგუფებიდან ნახევარზე მეტს არ გააჩნდა პოლიტიკური აღიარება. აღიარებული ორმოცდაცამეტი ტიტულარული ერიდან, მხოლოდ თხუთმეტს მიენიჭა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის (სსრ-ს) უმაღლესი წოდება, იგივე ,,საკავშირო რესპუბლიკები" რომელთა ერთიანობაც ქმნიდა საბჭოთა კავშირს. საკავშირო რესპუბლიკების ტერიტორიულ შემადგენლობასა და მათ დაქვემდებარებაში იყო შემდეგი იერარქიული ერთეულები: ოცი ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა (ასსრ), რვა ავტონომიური რეგიონი ("ობლასწი") და ათი ავტონომიური მხარე ("ოკრუგა"). ყველა ამ ფორმაციის უფლებები და პასუხისმგებლობები, მათ შორის, დაქვემდებარების სფეროები, გარანტირებული ინსტიტუციები და ავტონომიურობის უფლებები, გაწერილი იყო საბჭოთა კონსტიტუციაში. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საბჭოთა მმართველობის წინაშე ვალდებულებები ყველა ნაციონალური ჯგუფისთვის საერთო იყო, ხოლო თხუთმეტ

საკავშირო რესპუბლიკას მინიჭებული ჰქონდა კავშირის დატოვების უფლება, სწორედ კავშირის დატოვების უფლების სიღრმისეული ანალიზით ნათელი ხდება საბჭოთა ნაციონალური პოლიტიკის ცენტრალური დილემა - მათ უნდა გაემართლებინათ საბჭოთა ხელისუფლებასა და საკავშირო რესპუბლიკებს შორის არსებული კონტრაქტი. ამ კონტრქტის მიხედვით, ყველა რესპუბლიკა პასუხისმგებელი იყო საბჭოთა ცენტრის პოლიტიკის გატარებასა და სოციალისტური განვითარების პროცესებში სრულად ჩართულობაზე. თუ რომელიმე რესპუბლიკა გადაწყვეტდა კავშირის დატოვებას, მისი ეს უფლება გარანტირებული იყო საბჭოთა ხელისუფლების მიერ. მთლიანი მსჯელობა ეფუძნებოდა წრიულ ლოგიკას. კავშირის დატოვების უფლების მინიჭებით, რესპუბლიკები აღიარებენ კავშირს საბჭოთა ხელმძღვანელობით; ასეთი აღიარების სანაცვლოდ, ეროვნებები არ გამოიყენებენ კავშირიდან გასვლის უფლებას. ნაციონალური დესტაბილიზაციების შემაკავებელი იყო ნებაყოფლობით გაკეთებული შეთანხმება, რომელიც თავის მხრივ ამართლებდა საბჭოთა კავშირის საფუძვლად არსებულ იმპერიას.

თუმცა, დე იურე ნაციონალური პოლიტიკა ძალიან შორს იყო საბჭოთა რეალობისგან. არც ლენინს და არც მის შემდგომ მმართველებს არ ჰქონდათ განზრახული, დაეშვათ რესპუბლიკების მიერ კავშირის დატოვების უფლების გამოყენება. პირიქით, საბჭოთა ცენტრალური ფიგურები რესპუბლიკებს აწვდიდნენ ეკონომიკური ბენეფისების პაკეტებს, რომელიც დიდწილად უნდა გამოეყენებინათ ადგილობრივი ელიტის შეხედულებისამებრ, სანაცვლოდ კი მიეღოთ უპირობო მორჩილება. ამ გარიგებამ ეფექტურად "მოისყიდა" მიზნობრივი ხელმძღვანელი კადრების ერთგულება; სამიზნე კადრებს წარმოადგენდნენ ეკონომიკური მენეჯერები, სავაჭრო კავშირების ხელმძღვანელები, ადმინისტრაციული და პარტიული ლიდერები და ინტელიგენცია.

საბჭოთა ცენტრი იმედოვნებდა, რომ პერიფერიებში საკვანძო აქტორების ჩანერგვით, შეძლებდა ,,შინაარსით ნაციონალურისთვის" ძირის გამოთხრას. საბჭოთა პერიოდში, რუსეთიდან არარუსულ რესპუბლიკებში მიგრაციის მაჩვენებელი ძალიან დიდი იყო, სკოლებისა და ახალგაზრდული ჯგუფების მეშვეობით ინდოქტრინაცია უმაღლეს დონეზე ნარჩუნდებოდა, მიმდინარეობდა რელიგიური ორგანიზაციების რეპრესირება. ადგილობრივი ეკონომიკები დამოკიდებული გახდნენ საბჭოთა ცენტრზე. შეიქმნა მასიური ბიუროკრატიული ინსტიტუტები. განსაკუთრებით არასლავურ რეგიონებში, საბჭოთა ცენტრი ეცადა სხვადასხვა ეროვნების ჯგუფების დარწმუნებას, რომ საბჭოთა პერიოდამდე მათ საკუთარი კულტურა არ ჰქონდათ. ეს

მოძრაობა მოიცავდა სტალინის ,,ერთა შერწყმას" ე.წ. ,,სლიანიე" და ბრეჟნევის ,,ახალი ისტორიული საზოგადოების შექმნა - საბჭოთა ხალხი", ე.წ. ,,Советский народ".

საბჭოთა პოლიტიკა, ეროვნებებთან დაკავშირებით, თავისი არსით პარადოქსული იყო: რომელიც მიზნად ისახავდა ეროვნული იდენტობის შენარჩუნებას სოციალისტურ ჩარჩოებში და ამავდროულად ხელს უწყობდა თანდათანობით ასიმილაციას საერთო საბჭოთა იდენტობაში. ეს დუალიზმი, რომელიც ლენინის „ფორმით ეროვნული, შინაარსით სოციალისტური" სახელმწიფოს ფედერალურ დიზაინში იყო ჩადებული, ეთნიკურობას ინსტიტუციონალიზაციას უწევდა ნამდვილი ავტონომიის მინიჭების გარეშე. სსრკ-ის ფედერალური სტრუქტურა, რომელიც ეთნიკურად განსაზღვრულ რესპუბლიკებსა და ადმინისტრაციულ ერთეულებზე იყო დაფუძნებული, არ აპირებდა ნამდვილი გამოყოფის დაშვებას. თუმცა, ირონიულად, მისი კონსტიტუცია სწორედ ამ უფლებას უზრუნველყოფდა. ეს წინააღმდეგობა - რიტორიკულ სუვერენიტეტსა და ფაქტობრივ ცენტრალიზაციას შორის - საბჭოთა ეროვნებების დილემის ცენტრში იდგა. საბჭოთა პერიოდის ბოლოს ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური კრიზისების გამწვავებისას, ეს გადაუჭრელი დაძაბულობა სრულფასოვან ნაციონალისტურ მობილიზაციაში გადაიზარდა. საბოლოო ჯამში, საბჭოთა კავშირის მიერ იდეოლოგიური ვალდებულებების სტრუქტურულ რეალობებთან შეთავსების უუნარობამ ნაციონალიზმი არა მხოლოდ დესტაბილიზაციის ძალად, არამედ საბედისწერო ძალად აქცია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Amalrik, Andrei. *Will the Soviet Survive Until 1984?* New York: Harper and Row, 1970.
2. Bennigsen, Alexander A., and S. Enders Wimbush. *Muslim National Communism in the Soviet Union: A Revolutionary Strategy for the Colonial World*. Chicago: University of Chicago Press, 1979.
3. Bremmer, Ian, and Ray Taras. *New States, New Politics: Building the Post-Soviet Nations*. Cambridge: Cambridge University Press, 1997.
4. Bruk, S.I. "Ethnicheskie protsessy i voprosy optimizatsii natsional'no administrativnogo deleniia v SSSR." In *National'nye problemy v sovremennykh usloviakh*, 128–143. Moscow: Institute of Marxism-Leninism, CPCC, 1988.

5. Carrère d'Encausse, Hélène. *Decline of an Empire: The Soviet Socialist Republics in Revolt*. New York: Newsweek Books, 1979.
6. Connor, Walker. *The National Question in Marxist-Leninist Theory and Strategy*. Princeton, NJ: Princeton University Press, 1984.
7. Gellner, Ernest. *Nations and Nationalism*. Ithaca, NY: Cornell University Press, 1983.
8. Gershenkron, Alexander. *Economic Backwardness in Historical Perspective*. Cambridge, MA: Harvard University Press, 1979.
9. Hirsch, Francine. *Empire of Nations: Ethnographic Knowledge and the Making of the Soviet Union*. Ithaca, NY: Cornell University Press, 2005.
10. Kramer, Mark. *The Soviet Union and Nationalism in the USSR*. Cambridge: Harvard University, 1991.
11. Sporluk, Roman. *Communism and Nationalism*. New York: Oxford University Press, 1988.
12. Suny, Ronald Grigor. *The Soviet Experiment: Russia, the USSR, and the Successor States*. Oxford: Oxford University Press, 2011.
13. Talmon, J.L. *The Myth of the Nation and the Vision of Revolution*, 545.
14. Talmon, J.L. *The Myth of the Nation and the Vision of Revolution*. London: Secker and Warburg, 1981.